ნიანგი

19
1982

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. ბ. ფირცხალავასი

— ესე იგი, შენ რომ რესპუბლიკის მოსახლეობის აღწერა დაგავალონ, გამოდის, ქართველები 20 მილიონი ვყოფილვართ!..

ნახ. ჯ. ლოლუასი

გამოუსწორებელი ქურდის სიმღერა

იეთიმ-გურჯის ჰანგზე
(სრულდება მილიციელის სასტვენის თანხლებით)

გამარჯობა, ჩემო ფულის-ქალაქო! —
დაკარგული „რამკის“ ქურდი მოვედი!
ჩემო ძველო საქურდალო ალაგო,
თხუთმეტი წლის ნაცხარი მოვედი!

მილიციავ ქალაქ თბილისისაო,
პატიოსან მშრომელებს რომ იცავო,
შენ — დარაჯო მათი ბინებისაო —
ამ ბინების გასატეხად მოვედი!

საბურთალოვ, ვაკევ, ორთაჭალაო,
შეგსევია „უიგულების“ ფარაო!..
დღეს გარაჟში „უიგულს“ ვერ დამალავო!—
ჰოდა, იმის მოსაპარად მოვედი!

ჰარიფებო ჰაოს-ქართლოსისაო,
ასი ერის, ას ეროვნებისაო, —
დაჭერილი უბნის გოიმისაო, —
თქვენს ჯიბეზე სანადიროდ მოვედი!

ძმანო ჩვენო — ხროვავ ქურდებისაო,
უნახავი მყავხართ დიდი ხნისაო!..
კვლავ თქვენთან ვარ, ჩვენს ადათებს
ვფიცავო! —
ნაქურდალის გასაყოფად მოვედი!

მსახურებო მართლმსაჯულებისაო,
ვგრძნობ, დამიჭერთ! — ფეხქვეშ მეწვის მიწაო!..
დამცველებო კანონ-კოდექსისაო,
განაჩენის მოსასმენად მოვედი!

ნახ. მ. აბაშიძისა

— რა გაქვთ იმპორტული?
— გრიპი!..

— გადამრევს ეს ხალხი! რად მინდა სწავლა და მუშაობა, მაკლია რამე, თუ რა?!.

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი

ჩვენ და ჩვენი ჩაი

ბაბუას ზღაპარი

...**უგრძანებია** მაშინ ღმერთს: „დღეის შემდეგ კაცობრიობამ ყურად იღოს ჩემი შეგონება და ღვინო ღვინის ჭიქით დალიოს, ჩაი კი ჩაის ჭიქითო“. იცავს ახლა ამ წესს დიდი და პატარა. აბა, ღვთის ნებას წინ ვინ დაუდგება?! — დაამთავრა ბაბუამ ძილისპირული და საბანი გადაახურა პატარას, — ახლა კი დაიძინე და ნუ იყურები მასე ეშმაკურად. — გულში კი გაიფიქრა: „ზღაპარი კია, მარა ასეთი ტყუილი მაინც არ უნდა თქვას ჩემი ხნის კაცმა, ღვინოს ჩაის ჭიქით სვამენ, ღვინის ჭიქით არაყს და ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, წამალს არყის ჭიქით დალევენ“.

— კი მაგრამ, ბაბუ, აგერ, საბა ჩიხორიას ქალიშვილის ქორწილში მამიკო და სხვა ბიძიები ჩაის ჭიქით რომ სვამდნენ ღვინოს, ჩაი გამოელიათ თუ ღვინის ჭიქები ვერ იშოვეს? — ძილის სურვილი არ გამოამჟღავნა ბავშვმა, საბანი კვლავ მუხლებამდე ჩაიტანა, წამოჯდა და ბალიშს მიეყრდნო.

ბავშვის ბაბუა, ყოფილი მეჩაიე, ამჟამად საერთო საქმისათვის თავგადადებული პენსიონერი, მიხვდა, რომ საუბარი მისთვის არასასურველი მიმართულებით ვითარდებოდა და შეეცადა ზღაპარი ზღაპრად დაეტოვებინა:

— ეჩქარებოდა, ბაბუ, ხალხს სამუშაოდ, ღვინო კი ბევრი ჰქონდათ დასალევი და, ალბათ, ამიტომ მიეტანენ უფრო დიდ ჭიქებს, მალე მოვრჩებით საქმესო! — გაუბედავად დააბოლოვა მან წინადადება, — ახლა კი დაიძინე, თორემ გოდრიანი ძია მოვა და წაგიყვანს! — რაც შეიძლებოდა თავშეკავებულად შეაშინა ბერიკაცმა ბავშვი და საბანი კვლავ ზევით ამოუწია.

— ბაბუ, ძიას თუ გოდორი აქვს, რატომ არ ათხოვებს ჩაის პლანტაციებში მომუშავეებს? გუშინ ტელევიზორში ერთი კაცი გამოვიდა და ასე თქვა, ტარა არ გვყოფნის და ამიტომ იძულებული ვართ ერთ ყუთში ოცდაათის ნაცვლად ორმოცდახუთი კილო ფოთოლი ჩავტენოთო.

— რას ამბობ, ბაბუ! მარტო მახარაძის რაიონის მეჩაიეებმა 100 ათასი ტონა ფოთოლი უნდა ჩააბარონ წელს სახელმწიფოს. ცოტათი ნაკლებს ქობულეთელები აბარებენ და მაგდენ გოდორს, ძია კი არა, ქრისტე ღმერთი ვერ იშოვის! — უნებლიედ აყვა კამათს ბერიკაცი და შემდეგ გულმოსულმა უთხრა ბავშვს, — კაი ახლა, ბაბუ, რა ლაპარაკი აგიტყდა! დაიძინე, თორემ ხვალ საბავშვო ბაღში დაგაგვიანდება!

— საბავშვო ბაღში არც ვაპირებ წასვლას! — გაიბუტა ბავშვი და საბანი კვლავ მუხლებამდე დაუშვა.

— რატომ?! — გაოცდა ბერიკაცი.

— იქ ცუდ ჩაის გვასმევენ...

— უყურე ამას შენ?! — იფეთქა უცებ მოხუცმა, — ჩაი-ში რომ ხალხი მუშაობს, იმათ ჩაის კი არა, უბრალო ნახარაკს ასმევს, მაგრამ ამისთვის არავის გადაუცია ხატზე! ქობულეთისა და მახარაძის რაიკოოპკავშირების ხელმძღვანელები, ამ ცხვირმოუხოცავებს კი, თურმე, ცუდ ჩაის ასმევენ საბავშვო ბაღში! დაიძინე ახლავე, მე შენ გეუბნები!

— არ დავიძინებ! — გაჯიუტდა ცრემლმორეული ბავშვი.

— რატომ, ბაბუ, რას გადაეკიდე დღეს ამ ჩვენს ჩაის, დაიძინე...

— გული მოულბო მოხუცს ბავშვის სლუკუნმა.

— მომიყევი კარგი ზღაპარი ჩვენს ჩაიზე და დავიძინებ! — წამოაყენა მტკიცე მოთხოვნა ბავშვმა.

— კარგი, ბაბუ, მოგიყვები, — საბოლოოდ მოტყდა ბერიკაცი, ლოგინთან მდგარ სამფეხა სკამზე ჩამოჯდა და დაიწყო: „ერთ მშვენიერ დღეს მოვიდა წერილი „საქჩაის“ ტრესტში ინგლისიდან, ამერიკიდან, ავსტრალიიდან და თვით ინდოეთიდანაც კი — გამოგვიგზავნეთ ქართული ჩაი განუსაზღვრელი რაოდენობითო. საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან წამოსულ წერილებს ხომ თვლა არ ჰქონდა. ერთი სიტყვით, მიდიოდა ქართული ჩაი გემებით, ვაგონებით, მანქანებით, იყიდებოდა დახლზე და დახლს ქვემოდან. მაგრამ ვის ყოფნიდა? ჩამოვიდა ერთხელ უცხოელი სპეციალისტების დელეგაცია თხოვნით, გვაჩვენეთ რა ტექნოლოგიით ამზადებთ ამ ქართულ ჩაის, ხალხი რომ გადაგვირიეთო. მიადგნენ მახარაძის რაიონის თხინვალის ჩაის ფაბრიკას. უკეთესს რას ნახავს კაცის თვალი?! გაუდის ლაპლაპი შუშის კედლებსა და ახალთახალ დაზგა-დანადგარებს, პირს გაიპარსავს კაცი უსარკოდ. გაოცდნენ უცხოელები, განსაკუთრებით იაპონელები — ასეთ შენობებში, ასეთი მანქანებით ჩვენც კი დავამზადებთ გემრიელ ჩაისო. აბა, რაო, უპასუხეს, თურმე, თხინვალელებმა, ეს ჩაის ფაბრიკა ახლახან აგვიშენეს და დიდი ხანია დავიწყებას მიეცა ის დრო, როცა 1926 წელს აშენებული ფაბრიკის დაბზარული კედლები დანგრევაზე ოცნებობდნენო.

წავიდნენ ახლა დელეგაციის წევრები ჩაის მეურნეობაში და რა ნახეს! — გაუშლიათ მოკრეფილი ჩაის დუყი ფარდულის ქვეშ, ბრეზენტზე, მეურნეობის მუშებს და მანქანების მოლოდინში ამოწმენდენ, სამ თვეზაფოთოლს, შემთხვევით, მეოთხე ხომ არ გაყვაო. ამან სულ გადარია ინდოელები — ჩვენი მეჩაიეები იმხელა ტოტებს კრეფენ, მწყემსები საბრეებად ჩაის გასხეპილ ჯოხებს ხმარობენო. ახლა შრომის პირობები რომ ნახეს უცხოელებმა, მთლად შემოიხიეს ტანზე — ამას რას ვხედავთო. გარეთ რომ მზე აცხუნებდა და საღრობ მანქანებთან ტემპერატურა სამოც გრადუსამდე ადიოდა, კონდიციონერების წყალობით საამქროს შენობაში ტემპერატურა ოც გრადუსს არ სცილდებოდა.

დაპატიჟეს მერე სტუმრები ქობულეთელებმა და მახარაძელებმა ვახშამზე და ასვეს ღვინო ღვინის ჭიქით. კი მაგრამ, თქვენი ჩვეული ჩაის ჭიქები სად გაქრა, ამ პატარა ჭიქებით რომ გვასმევთ ღვინოსო, გაოცდნენ სტუმრები.

— ჩვენს კაფე-რესტორნებში ჩაის იმდენი მსურველი შემოდის, რომ მზარეულ-ოფიციანტები მათ მომსახურებას ვერ აუდიან, ხალხი დღედაღამ რიგში დგას და ჩაის ჭიქას ღვინისთვის ვინ მოაცდენსო! — უთხრეს, თურმე, სტუმრებს დარცხვენილმა მასპინძლებმა. ასე გასწორდა ქართული ჩაი წელში, მას შემდეგ ჯილდოს მეტი არაფერი მიუღია...“

— კარგი ზღაპარია... — თვალები მილულა ბავშვმა და ძილმა წაართვა თავი.

— ჯადოსნური სარკეც ზღაპარი იყო, მაგრამ ქე გვაქვს აგერ ტელევიზორი. მაგ ზღაპარიც მალე აგვიხდება, ახლა კი დაიძინე... — ჩურჩულით თქვა ბერიკაცმა და საბანი შეუკეცა მძინარე ბავშვს.

ჟანი სიხარულიძე.
როლანდ ჯალალანია.

— ინსპექტორი: — კიდევ დიდხანს უნდა იდგეს ეს მანქანა აქ?!

მძღოლი: კიდევ ორ კვირას!

ინსპექტორი: — წადი, აბა, ბრეზენტს მოვიტან, კოასკა არ გოუუეჭდეს!

●

— ილონდ ეგენი გედევიდნენ უმაღლეს ლიგაში და ტარნუხას დავუოგავთ ოოედანხე!

●

მაღლობა აკრძალვის ნიშნს ყურადღება არ მიაქცია და მანქანა შეუფერებელ ადგილზე გაანერა.

ინსპექტორი: — ამბანგარო, იმას ხედავ?! [დაანახვებს აკრძალვის ნიშანს]. — მაგი მაქ გასაშრობად კი არ ჩკიდია!

●

— თუ ქალი ხარ, მომეცი ერთი გალსტუკი!

— რა ფერი გინდა?

— არ დამიწყო ახლა ფერი, ტომარას უნდა მოვუკრა თავი!

●

— კოლია, თუ ვაუკაცი ხარ, გამომკეკვი გარეთ!

— გადაშენდი იქით! მაგ ჭკუაზე ეარ სუელ, ეს გოჭი და საცივი მივაბეოოთ და შენ გიბრაგუნო გაურდებში!

●

მაქყანინამ შუა აგვისტოში ყურებიანი ქუდი დაიბურა და ბაღისკიდეს ჩაუყვა.

ერთმა ნაცნობმა დაინახა და მიაძახა:

— მაგყანია, ბიჭო, მაგ ქუდს ინსტრუქცია არ მოყოლია?!

●

ორი ქუთაისელი მოხვდა უდაბნოში. სამ დღეს იარეს. სამშვიდობოს მაინც ვერ გავიდნენ.

— მაგყანია, ბიჭო, ეეღარ გავედით ზღვასთან?!

— რა უნდა აქ ზღვას?!

— აბა, რათ უნდათ ამხელა პლაჟი?!

●

კოლია და შალიკო მოხვდნენ ხელჩართულ ჩხუბში. რამდენი დარტყეს შალიკოს, იმდენი და აგდდეს. დაარტყამენ, დავარდება. ნამოდგება, დაარტყამენ, დავარდება!..

— ინქეი, შე უპატრონო, რაღას დგები?! — დაუძახა კოლიამ.

●

ორნი დგანან ბაღისკიდეზე. უსაქმობისაგან სულს ღაფავენ.

— წამოდი, ვახტანგია გავლახოთ! — ეუბნება ერთი მეორეს.

— წამოდი!

— კი მარა, თვითონ რომ გაგვლახოს?!

— რას გვერჩის, მე მაგის დედა ვატირე?!

●

აგვისტოს ცხელი ქარი უბერავს. ინვის ქალაქი.

— საალლუოდ გამონყობილი ადმირალი მოაბიჯუებს ბაღისკიდეზე.

— რა უნდა, ბიჭო, ამას აქანე, კრანში ნყალი არ მოდის!

●

ლამარამ „ფიატი" აატარჩამოატარა ბაღისკიდეზე. გვერდით მეგობარი ქალიშვილი ეჯდა.

— მსუბუქი ყოფაქცევის კაცებს თუ ეძებთ, აქა ვართ! დაუძახა ვახტანგიამ.

●

მწვანე ბაზარში მაქყანია გოჭზე ეკაჭრება გლეხს.

— სამოცდაათ მანეთნაკლებს ვერ დგებიმობ, ბატონო!

— სამოცდახუთად მომეცი და მე გადავიფორმებ!

●

ქუჩა მაქყანიამ უადგილო ადგილას გადაკეკვა.

— ქუჩა რაგომ გადაჭერი?!

— წინ გადაუდგა მილიციელი.

— გადაჭერი, თვარა, ქალალდში არ შევახვიო და სახლში არ წავიღო ერთბაშად!

●

— როგორ ჩაიარა პრემიერამ ოპერაში?

— კარგად, მარა ბანი რომ აო მიგვეცა ქვემოდან, გლახად იყო საქმე!



— მამაჩემო, პირიქით, უნდა გეამაყოდეს, რომ შენი ჯაქიშვილი ასეთი კეთილსინდისიერებით ასრულებს თავის სამსახურეგრივ მოვალეობას!..

ბარათები—ნიანგს!

ახალი პური — „ფენოვანი"

მცხეთის პურის ქარხნის ნაწყვანმა სპეციალისტებმა, თეორის, რუხისა და შავი პურის გარდა, მომხმარებელს მიაწოდეს პურის პიბრიდული სახეობა „ფენოვანი".

იგი შეიცავს ერომანეთის მონაცეცლ შავ-თეთრ, თეთრ-რუხ-შავ შრეებს. ღანგარზე ძალიან ლამაზად მოჩანს „ფენოვანი" პურის ქერცლი ნაჭრები. პიბრიდულ პურს გემოც პიბრიდული აქვს: იგი ხან თეთრ პურს მოგაგონებს, ხან — რუხსა და ხან — შავს!..

ყველაზე უნინ „ფენოვანს" **სოფელ ციხისძირის** მცხოვრებმა მურად ჯალილოვმა გაუსინჯა გემო და დაასკვნა, რომ ამ პურს შეუფლია ერთიფროლოად შეცვლოს თეორიც, რუხიც და შავიც, ოღონდ ფასი რა უნდა აქონდეს, ეგ კი ვერ დამიდგენიაო!

პოდა, რაკი ვერ დაადგინა, ნიანგს ანხლა ბარათი.

მოგვაფორეთ ასო „უ"!

ახალდაბა ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთი ლამაზი სოფელია, მაგრამ ერთი გასაჭირი ზევეც გვიდგას აქაურებს: საქმე ის არის, რომ ძალიან შეგვიანუხა ასო „უ"-მ. აბა, თვითონ ნამრეოიგარეთ, რა დღეში ვიქნებით **უკლუბოდ, ურადიოდ, უტელევიზოდ, უბავშვთაბაღოდ, უნყლოდ, უელექტროენოდ!** ამასაც ალარ დასჯერდა ეს თავხედი ასო: ცდილობს, მიეწიბოს სკოლასაც ძველ შენობას, რომელიც მასწავლებლებსაც ვეღარ იტევს და რომლის დერეფანი საკმარ დარბაზის მოვალეობასაც ასრულებს!..

გთხოვთ, გეთხინათ გასაჭირიდან! მოგვაშორეთ ეს აბუზარი. ასო „უ" !

აბაბილან გვნერენ

აბაშის რაიონის სოფელი ნაისაყოო შუქმა და სანბეღეს შუაზე გაყო. **თუ არ** გვიშველეთ, ნიანგო, სხვასაც ბევრს დაგაგვიანეთ! ჩვენ თქვენთ არ ვიცით, როგორ ავიცილოთ ზიანი, რადგან ძირმომპალი ელექტრონის ბოძები, მინაში ვეღარ „ზიან", და როცა ცა ალარ მზიანობს, დენიც ალარ გვყოფნის ორყაზიანის!..

ისევ ასო „უ"

თბილისში, მშვიდობის გამზირზე, №2 შემნახველ სალაროში მცირე ანრი გვეუნყება: **„სამაუელო ომის მონანილეებს და ინვალიდებს შემნახველი სალაროები ემსახურებიან ურიგოდ."**

ასეთივე ნარნერებს ნახავთ ახვი სალაროებშიც, როგორც შემნახველში, ასევე საბანკოებში, ხოლო ერთ-ერთი მძიმეტრის მისაღებში ეს ტექსტი ოდნავ შეცვლილია: **„ომის მონანილეები და ინვალიდები მიიღებიან ურიგოდ!"**

ქართულში ურიგოდ ნიშნავს: ცუდად, უხეიროდ, უნესოდ.

მაშინ, როცა ყველა დანესებულება რიგიან პირობებად უნდა ემსახურებოდეს ბრძოლისა და შრომის ვეტერანებს, ემსახურებოდეს კეთილსინდისიერად, ხიზგასმული თავაზიანობით!.. თავიანთ მუშობას ასეთ უარყოფად შეფასებას რაგომ აძლევენ ამ დანესებულებათა მუშაკები. როცა ჩვენ მათი მომსახურებით კმაყოფილი ვართ? **გენერალ რუსუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ფიცეტერ ფ. გელაშვილი** და იქვე დასძენს: ურიგოდ კი არა, რიგგარეშე უნდა დაინერესო.

ბარათები მიიღო ელგუჯა მერაბიშვილმა



არყადი ჭაჭაძის არყონეკროლოგი

ჩავისახე! — დავიბადე!..
გადავჭარი! — გავიბადრე!..

დედაჩემის განაცხადით —
ჩანასახშიც არაყი ვსვამდი!..

სპირტანულად აღვიზარდე!..
მაღმერთებდი არყის სახელს!..

ვსმენ ვსმენ ჭაჭაძეს, ბოლოს ბოლოს ...

ვსმენ ... ბოლოს ...

ბოლოს ... ბოლოს ...

ბოლოს ... ბოლოს ...

ბოლოს

ნახ. ჯ. ლიქ ეანი

— კარლოია, დეიფიცე დედა, მართლა პირველი სიყვარული ვარ შენი?!

ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲡᲐᲮᲜᲔᲡ

(ნაწყვეტი ამხანაგური სასამართლოს ოქმიდან)

— დიახ, სწორია ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე, ამხანაგი ბდღვირიაშვილი! სპეკულანტებისა და ქორვაჭრების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!..

რაც შეეხება იმ ბაზების, საწყობებისა და მაღაზიების გაბღენძილ გამგეებსა და დირექტორებს, რომლებიც დანაშაულებრივ კავშირში არიან ამ ანტიპოდებთან და ყოველნაირად უწყობენ მათ ხელს, ისინიც მალე იქნებიან მხილებულნი და ასევე წარსდგებიან ამხანაგური და, თუ საჭირო გახდა (ესე იგი თუ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს), სახალხო სასამართლოს წინაშეც კი!

დღევანდელი ჩვენი ბრალდებულები — სპეკულანტები და ქორვაჭრები კი მკაცრად, მაგრამ სრულიად სამართლიანად დაისაჯნენ: მათ სასტიკად და კატეგორიულად აეკრძალათ რუსთაველზე, პლეხანოვსა და ზემელზე პარპაში! წავიდნენ აწი, შეძვრნენ ჩუღურეთის, გლდანის, ფონიჭალის, ორთაჭალის, სოლოლაკის, სანზონიისა და ნავთლუღის ვიწრო შუკებში, ჩიხებში, გასასვლელებში და ყიდონ იმპორტული საქონელი! ვნახოთ, ერთი, როგორ ივაჭრებენ!

არა უშავს რა! აწი მაინც ისწავლიან ჭკუას!

ᲕᲐᲜ-ᲪᲘᲜ

ᲪᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲓᲐ

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ცოლს ბეწვის ქურქი ეუშოვა —
კეთილი გულის საბუთად,
ძვირად მომყიდეს, მეეთნა,
ტყავს თუ მაძრობდნენ საკუთარს.
ყველას ენახა (ეს სურდა)
შესული მოდის აზარტში! —
და უცხო თეთრი დათვივით
დავატარებდი ბაზარში.
ორი თვის შემდეგ გამკიცხა:
— ბრმებივით უნდა ვიაროთ?
ასეთ თეთრს ახლა ვინ იცვამს,
მოდაში ფერადიაო.
მიხვდა, რომ ჩემი მოდრეკა
არ იყო უკვე ადვილი,
ნადირის ტყავი ეცვა და
ბრჭყალებიც გამკრა ნადირის.
ისიც ვუყიდე, რა მექნა,
ლანძღვას ავიტან მე რამდენს,
ბეწვში ყელამდე ჩავჯექ ყელამდე...
გაზაფხულმა რომ დაატკბო,
ამოისუნთქა მთა-ბარმა,
გველის ტყავივით დააგდო
იტალიური ლაბადაც.
მითხრა: რას მიბღვერ, არ გინდა
ისევ ღიმილით გაამო?
ასეთს ახლა ვინ ატარებს,
მოდაში ლაიკააო.

●

ერთი იმედით ვისვენებ,
ის მიადვილებს ყოფნას შინ,
განქორწინება ისევ რომ
დარჩენილია მოდაში.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

(საჩხერე)

ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲖᲝᲜᲘᲡ სოფელ ზედუბნის მცხოვრებნი გვწერდნენ, რომ სოფელში გასაყვანია საუბნო გზა, დაგეგმილია პურის საცხობი, ცუდად მუშაობს მაღაზია, არა აქვთ კლუბი!.. ამის შესახებ სახალხო დეპუტატების ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან გვაცნობებს: „წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება და გატარებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. კერძოდ, ზოდი-ზედუბნის სამანქანო გზის მშენებლობა გათვალისწინებულია მომავალი წლისათვის. პურის საცხობი დაიკეტა, რადგან არ ხერხდებოდა პურის რეალიზაცია, მაგრამ რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობას დავალებული აქვს მოსახლეობა მომამარაგოს სასოფლო საბჭოს ცენტრიდან. სოფლის მაღაზია უკვე ნორმალურად მუშაობს. რაც შეეხება კლუბს, შედგენილია პროექტი და ხარჯთაღრიცხვა და მისი მშენებლობა დაიწყება უახლოეს დროში“.

●

ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡ რაიონის მცხოვრებნი ჩიოდნენ ძველ-ჭობარეთის ხიდის მშენებლობის გაჭიანურების გამო. ასპინძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომიდან გვიპასუხეს: „ძველ-ჭობარეთის მიმართულებით ხიდის მშენებლობა დაიწყო შარშან და დამთავრდება მიმდინარე წლის ნოემბერში. საავტომობილო მიმოსვლა ამ ტრასაზე ნორმალურია“.

●

ᲡᲝᲤᲔᲚ მეჯინისწყლიდან (ხელვაჩაურის რაიონი) რედაქციამ მიიღო კოლექტიური წერილი ტელეფონების ბაზის აღდგენითი სამუშაოების შეფერხების თაობაზე, რაზედაც ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა რაიასბჭოს აღმასკომმა მოგვწერა: „სოფელ მეჯინისწყალში ტელეფონების ბაზის მონტაჟი დაწყებულია და დარჩენილი სამუშაოების დამთავრება გათვალისწინებულია უმოკლეს ვადაში“.



№ 658
15 X 82

დავით ყიფიანს

ჩვენს დ ა ვ ი თ დამამშვენებელს —
დავემშვიდობეთ — ყ ი ფ ი ა ნ ს! —
გამოეთხოვა დიდ ფეხბურთს —
თავის სანუკვარ სტიქიას!..
გულიც ატკინეს ფეხნატკენს! —
რომ არ ვთქვა, არ შემიძლია!..
დიდად დააკლდა ჩვენს ნაკრებს
მისი თამაშის ხიბლია!..
ახლა იკბენენ თითებზე!..
შეცდომებს ახლა ითვლიან!..
ჩვენი „დინამოს“ დიდებას
მისი სახელიც გვიქვიან!
მისებრი ვინმე სხვა მოვა?! —
ამის დარდი და ფიქრი მაქვს!...

დავით ყიფიანის თაყვანისმცემელი

ნიანგი



ნახ. თ. კოზიევისა

უსიტყვოდ

ნიანგის კალათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნიანგის“ რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი ყოველდღიურად შემოდის ათობით ვაილექსი და უიპოემა, რომელთა ავტორები უანგაროდ გვეხმარებიან მაკულატურის დაგროვებაში, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ! შთამომავლობას, რომ არ დავუკარგოთ, მასალებს ვინახავთ ნიანგის კალათში.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ „შედევრებიდან“:

„აქეთ ლექსი, იქით ლექსი, ლექსმა ლამის გამალექსოს,
გეფიცებით მართალს ვამბობ, გინდა ჰკითხეთ აბა ლექსოს“.

ეს ლექსი თბილისელ გ. ხ-ს (ვაზისუბნიდან) ტელევიზორთან მჯდარს დაუწერია. ალბათ, ტელევიზორი რომ ჩართული არ ჰქონოდა, უკეთესს დაწერდა!

საჩხერის მატარებელზე განაწყენებულ გარდაბნელ **დ. ჭ-ეს** ბრაზისაგან მუზა და გული ერთად მოსვლია და გვწერს:

„ერთ პატარა საჩივარს ვგზავნი ქალაქ თბილისში,
ჟურნალ „ნიანგს“ მივანდობ მომხდარ ამბავს ივნისში,
განა მარტო ივნისში?
კიდევ გეტყვით ბოდიშით, ოცდაცხრა წლის კაცი ვარ
გავიზარდე ლოგინში“.

„ლოგინში გაზრდილი“ კაცის პირობაზე, ლექსს მართლაც არა უშავა რა!

საჩხერელი გ. ზ-ე, პაპიროსთან ერთად, შემოქმედებით საქმიანობასაც ენევა და დახლის ზოგიერთ მუშაკს ლექსად მიმართავს:

„ნუ სარგებლობ პაპიროზზე ფასები რომ გადიდდა,
განა ხალხმა არ იცის, თუ რა ღირს და რა ღირდა?“

თბილისელი **გ. თ-ია** თავის „პოემა-იგავ-არაკში“ ჯერ თავის თავს გვამცნობს და გვამშვიდებს, რომ იგი არავისთვის არაა მგელი:

წარმოშობით ვარ მეგრელი, თუმც შემითვისა ქიზიყმა,
არავისთვის ვარ მე მგელი არც მე გავხდები სხვისი ყმა“.

რვეულის ოც გვერდზე დაწერილ 136-სტროფიან „პოემას“ ავტორი ასე ამთავრებს:

„ყველას მიუზღეს თავისი ვინც პატიოსნად ვერ არის
და მიაბრძანეს ყველანი უკლებლივ, სადაც ჯერ არის“.

კიდევ კარგი, ასეთი ლექსების წერისთვისაც რომ არ იჭერენ! ხალხს! თუ იგი კვლავ გამოგვიგზავნის ასეთ „პოემებს“, კალათი აღარ გვეყოფა და გოდორი უნდა ვიშოვოთ სადმე!

რუსთაველი **მ. ხ-ი** გაბრაზებულია ვინმე ჭორიკანა მარგუშაზე, მაგრამ ჩვენ რალა დავუშავეთ, ასეთ ლექსს რომ გვიგზავნის:

„რალა მარგუშას პირი და რალა წინაპრის არლანი,
მთელ დღეს ეზოში ქაქანებს სულმოუთქმელად, დაღლამდის.
ერთს გირჩევ ქალო მარგუშავ ვიდრე არ არის გვიანი:
ეგება სადმე დამალო ენა ორარშინიანი!“

ამავე „აქტუალურ თემას“ ეძღვნება თბილისელი **ლ. ქ-ის** ლექსი „მაცდური“. ეალბატონმა ლიდამ იცის, რომ ენას ფვალი არა აქვს და წერს:

„ენით ჯარას ატრიალებს, ოცდაოთხი ენა ვიცი!
ყველა მართლა დააჯერა, თუ არ იცის, მაინც იცის“.

უენოდაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ კომენტარი ზედმეტია!

ნიანგი კვლავ სიამოვნებით შეაგროვებს ასეთ ლექსებს და სიხარულით გადასცემს თაობიდან თაობას!

ლექსო კალათიანი

შეერთებული შტატების სენატმა მიიღო პროვოკაციული რეზოლუცია, რომელიც რეიგანის ადმინისტრაციას ცენტრალური ამერიკის საქმეებში სამხედრო ჩარევის უშუალო უფლებას ანიჭებს.

გვ. 10-ებიდან-

ნახ. ბ. ბოლოქაძისა

„დიდი ხელკეტის“ ალორძინება

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“

№ 19 (1629) ოქტომბერი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგვაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ბაბუა ამირეჯიბი,
რომადი გართაია,
ბორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),

ალექსანდრე სამსონია,
ბეჭან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),

გიგლა ფირცხალავა,
ჯანსულ ჩარკვიანი,
თამაზ წივწივაძე,
ვაჟა ბანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),

ნაფი ჯუსოითი.

●

ტექნიკური რედაქტორი
ბიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად
1. 09.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
18. 10. 82 წ.
ქაღალდის ზომა 70×100
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 2107. უე 13211.
ტირაჟი 145.000.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარ.
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42.
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხ.
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38.
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკ-
ების — 99-02-38, მდივანი-მემან-
ქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137